ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1919548

ნომერი: AR1306493

თარიღი : 02.05.2015

გაცემის თარიღი : 27.05.2015

გაცნობის თარიღი : 27.05.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ბელიაშვილი , შპს,,ჯუმბერ ბერაძე და კომპანია"-ს ობიექტის მიმდებარედ(ნაკვეთი 08/068)/ ქალაქი თბილისი , მტკვრის მარჯვენა სანაპიროს და ბელიაშვილის ქუჩის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი კვიწინაშვილი პ/ნ 01006005364
- თბილისი დიღმის მას. VI კვ. კორ. 1 ბ. 9

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ, რომ საკითხის განსახილველად საჭიროა წარმოადგინოთ შემდეგი:

- ამჟამად წარმოდგენილი დოკუმენტაციით კვლავ ვერ დგინდება, თუ ვის სასარგებლოდ არის დატვირთული სერვიტუტით ტერიტორია. საჭიროა წარმოადგინოთ ცნობა (ან შესაბამისი საბუთი) საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, თუ ვის სასარგებლოდ არის დატვირთული სერვიტუტით მიწის ნაკვეთი და შესაბამისად მესაკუთრის მიერ გაცემული თანხმობა. ასევე შპს "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი"–ს მიერ გაცემული შესაბამისი გენ–გეგმა, თუ სად მდებარეობს მათ მიერ გაცემულ წერილში მითითებული D=1000 მმ-იანი საკანილაზაციო კოლექტორი, ვინაიდან წარმოდგენილ წერილიში (08.04.2015წ. #3038/09) მითითებულია, რომ სამშენებლო ნორმებისა და წესების თანახმად, სანიტარულ ზოლში აუცილებლობას წარმოადგენს ყოველგვარი შენობა–ნაგებობის დაშორება, თვითდენითი საკანალიზაციო კოლექტორიდან 3.0 მეტრით ორივე მხრიდან.

მხოლოდ ამის შემდეგ იქნება შესაძლებელი წარმოდგენილი დოკუმენტაციის და თანხმობების განხილვა.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა განცხადებაში მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.